

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი № 25**

ქ. თბილისი

20.06.2018

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:

ირაკლი ბურდული - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურუდიული ფაკულტეტის დეკანი, მოადგილე, პროფესორი (საბჭოს თავმჯდომარე);

ელიზბარ ელიზბარაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაციის თავმჯდომარე, ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე);

ნინო ჩანადირი - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის მაგისტრანტი (საბჭოს მდივანი);

თეო ურუშაძე - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სკოლის დეკანი, პროფესორი;

გიორგი ქვარცხავა - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

სოფიკო ლომჯანიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტთან არსებული დეპარტამენტის განათლების სკოლის ხელმძღვანელი;

გელა გელაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ელევთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი;

დიმიტრი ჯაფარიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკისა და ბიზნესის ინსტიტუტის დირექტორი, წარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარე.;

ირინე გოცირიძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ბიოსამედიცინო ინჟინერიის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;

პაატა ბრეკაშვილი - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ კავკასიის ბიზნესის სკოლის სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების დეპარტამენტის დირექტორი;

გიორგი თურქია - ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის პროფესორი;

ნატო გენგიური - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

ლევან გორდეზიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

ნათელა სახოკია - ა(ა)იპ - სტრატეგიულ გამოკვლევათა ინსტიტუტის გამგეობის წევრი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

მაია გელაშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი;

ანა ლელაძე - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი;

ქეთევან ინანაშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორი;

ივეტა გოგავა - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები :

სსიპ - ქ. ქუთაისის სამუსიკო კოლეჯი:

ია გიგაური - დეკანი;

ტატიანა ჯავახიშვილი - ხარისხის სამსახურის უფროსი;

მანანა მიქაძე - პროგრამის ხელმძღვანელი.

შპს კავკასიის უნივერსიტეტი:

ნუგზარ სხირტლაძე - ვიცე-პრეზიდენტი სასწავლო დარგში;

ეკატერინე აზარაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;

ვახტანგ სურგულაძე - მედიცინისა და ჯანდაცვის სკოლის დეკანი;

გიორგი მახარაშვილი - მედიცინისა და ჯანდაცვის სკოლის პროგრამების დირექტორი;

მაია გონაშვილი - პროფესორი.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები:

ერეკლე ჩიგოგიძე;

ლელა იოსავა;

ვასილ კიკუტაძე;

რუსუდან სეთურიძე;

ირმა მჟავანაძე;

ანა გვრიტიშვილი.

საბჭოს სხდომა დაიწყო 15:35 საათზე.

სხდომას ესწრებოდა საბჭოს 14 წევრი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27² მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავჯდომარემ, ირაკლი ბურდულაძემ. საბჭოს თავჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27² მუხლის მე-5 შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის

ნახევარზე მეტი. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 27⁵ მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმადაც, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - ქ. ქუთაისის სამუსიკო კოლეჯის მასწავლებლის მომზადების (მუსიკა) საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს კავკასიის უნივერსიტეტის ჯანდაცვის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს კავკასიის უნივერსიტეტის ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებს და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა წარმოდგენილი არ იქნა. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი დღის წესრიგი. წარმოდგენილი დღის წესრიგი ერთხმად იქნა დამტკიცებული საბჭოს წევრების მიერ.

1. სსიპ - ქ. ქუთაისის სამუსიკო კოლეჯის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის (მუსიკა) აკრედიტაციის საკითხის განხილვა
 პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (მუსიკა)
განათლების საფეხური	
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	
კვალიფიკაციის კოდის მითითებით	
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	60

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ შემუშავებულ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს ესაუბრათ პროგრამასთან დაკავშირებული ძირითადი რეკომენდაციების შესახებ.

ექსპერტმა განაცხადა, რომ პროგრამის მიზანი შეესაბამებოდა დაწესებულების მისიას. პროგრამის განხორციელების საჭიროება იკვეთებოდა ჩატარებული გასაუბრებების შედეგად, ამაზე საუბრობდნენ როგორც დამსაქმებლები, ასევე სტუდენტები. პროგრამის ირგვლივ არსებობდა გარკვეული პრობლემებიც, უპირველესად ის, რომ პროგრამა ორიენტირებული იყო არა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებლების მომზადებაზე არამედ სამუსიკო სასწავლებლების მასწავლებლების მომზადებაზე, რაც არ იყო მოქცეული კანონმდებლობის კონტექსტში. აღნიშნული გადაცდომა კი თავისმხრივ იწვევდა სხვა გადაცდომებს, ჯაჭვური რეაქციის სახით, რაც მიზნებსა და შედეგებზე გასვლას მეტწილად შეუძლებელს ხდიდა. იკვეთებოდა დუბლირება სწავლა სწავლების მეთოდების მხრივ. არსებობდა 3 სილაბუსიც, სადაც თემები თითქმის იდენტური იყო, შეცვლილი იყო მხოლოდ მათი წყობა. ამასთანავე, ცალკეულ სილაბუსებში გაწერილი თემატიკა ნაკლებად თავსებადი იყო მიზნებთან და შედეგებთან. პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული იყო ორი ათ კრედიტიანი პრაქტიკული ბლოკი, ერთი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში, ხოლო მეორე

სამუსიკო სკოლაში. მათ შორის არსებობდა თემატური დამთხვევა, ამიტომაც პრაქტიკის ეს ორი ნაწილი საჭიროებდა გადახედვას. გასაუბრების დროს გამოიკვეთა მხარეების ჩართულობის უზრუნველყოფა პროგრამის შემუშავების პროცესში, ჩართულნი იყვნენ დამსაქმებლები ხოლო სტუდენტებთან გავლილ იქნა კონსულტაციები, თუმცა უშუალოდ პროცესში ისინი აქტიურად ჩართულები არ ყოფილან. ხარვეზი არსებობდა პროგრამაზე დაშვების ველში და ის არ იყო შესაბამისობაში დარგობრივ მახასიათებელთან.

ექსპერტის განცხადებით ხარვეზები არსებობდა შეფასების კომპონენტებშიც. შეფასების პროცედურა ხდებოდა სემესტრში ორჯერ, ერთხელ შუალედური გამოცდის საფუძველზე და დასკვნითი გამოცდის საფუძველზე, რომელსაც წერილობითი სახე ჰქონდა და მოიცავდა 4 ათქულიან კითხვას. სილაბუსებში არ იყო დასკვნითი გამოცდის ჩაშლილი კომპონენტები. დაწესებულების პოზიცია ამასთან დაკავშირებით გახლდათ ისე, რომ რადგანაც პროგრამა ახლად იწყებდა ფუნქციონირებას, მის დაწყებამდე მოხდებოდა სილაბუსების გადახედვა. სტუდენტებთან ინდივიდუალური კონსულტაციების პრაქტიკა არსებობდა, რაც საკმარისი და მისაღები იყო სტუდენტებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ წესდებაში არსებობდა ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც უნდა მომხდარიყო ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა, რეალობაში კოლეჯის სტუდენტები არ იყვნენ ჩართულნი გაცვლით პროგრამებში და საერთაშორისო პროექტებში, აღნიშნულის სიმცირე შეიმჩნეოდა პროფესორებშიც. საჭირო იყო ინფრასტრუქტურაზე ზრუნვა და მეტერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება. გასაახლებელი იყო სასწავლო აუდიტორიების აღჭურვილობა, რომელიც მხოლოდ შეზღუდულად იძლეოდა მეცადინეობის ჩატარების საშუალებას.

ექსპერტმა ასევე განაცხადა, რომ აღსანიშნავი იყო აკადემიურ პერსონალთან დაკავშირებული საკითხი. აკადემიური პერსონალის ხელშეკრულებებს ვადა ჰქონდათ გასული 2018 წლის 1 იანვარს, კონკურსი ჯერ კიდევ ექსპერტთა ვიზიტის დროს ჩატარებული არ იყო. სასწავლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ პერსონალთან თანამშრომლობა მიმდინარეობდა მოვალეობის შემსრულებლის სტატუსით.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, რამ განაპირობა აღნიშნული ფორმით თანამშრომლობის გაგრძელება.

ექსპერტმა განაცხადა, რომ აღნიშნული გამოწვეული იყო არასწორი ინფორმაციით. დაწესებულებამ ჩათვალა, რომ მათ შეეძლოთ ხელშეკრულების აღნიშნული ფორმით დადება. გაწერილი გეგმის მიხედვით კონკურსი უნდა ჩატარებულიყო დეკემბერში, თუმცა ობიექტური გარემოებების გამო ეს ვერ მოხდა.

ექსპერტმა ასევე განაცხადა, რომ ლიტერატურა, რომელიც მითითებული იყო სილაბუსებში არ იძებნებოდა ბიბლიოთეკაში. ამასთანავე, სასწავლო მასალებში მითითებული იყო რუსული ლიტერატურა, მაშინ როდესაც რუსული ენის ცოდნის საჭიროება პროგრამაზე მიღების წინაპირობებში არ ფიქსირდებოდა.

საბჭოს წევრი, ნათელა სახოკია დაინტერესდა, საიდან დასტურდებოდა, რომ პროგრამა ამზადებდა სამუსიკო სკოლის მასწავლებელს და არა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისას.

ექსპერტმა განაცხადა, რომ აღნიშნული დასტურდებოდა თავად პროგრამით, ხოლო სასწავლო კურსები განეკუთვნებოდა ვიწრო დარგობრივ მიმართულებას, რისი აუცილებლობაც თავისმხრივ არ იკვეთებოდა ეროვნული სასწავლო გეგმით. პროგრამაში სილაბუსებს აკლდა საჭირო კომპონენტები, ამასთანავე წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ შეესაბამებოდა მთელ რიგ რეგულაციებთანკერძოდ, მასწავლებლის პროფესიული სტანდარტთან, პროფესიული განვითარების სქემასთან, დარგობრივ მახასიათებელთან.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებულ იქნა რეგიონული და ქალაქ ქუთაისის საჭიროებები. ქუთაისში საგანი მუსიკის მასწავლებელთა 85% არასპეციალისტი იყო და გაკვეთილებს ატარებდნენ ფიზიკის ქიმიის და სხვა მასწავლებლები. სამუსიკო სკოლებში კი პროფესიონალები მუშაობდნენ, თუმცა მათი უმრავლესობა 65 წელს გადაცილებული იყო. რეკომენდაციათა ნაწილი მიიღებოდა უპირობოდ, ზოგიერთ შემთხვევაში კი საჭირო იყო კომენტარის გაკეთება, კერძოდ, პროგრამის შედეგები დარგობრივ მახასიათებლებთან შესაბამისობაში იყო და მის მიზანს წარმოადგენდა, როგორც საჯარო ასევე სამუსიკო სკოლების მასწავლებლის მომზადება. დოკუმენტაციაში აღმოიფხვრა გარკვეული ხარვეზები. კერძოდ, სალექციო კურსების მიზნები, შედეგები და სწავლის მეთოდები შესაბამისობაში იქნა მოყვანილი და აღმოიფხვრა დუბლირების ყველა ფაქტი.

სასწავლო პრაქტიკასთან დაკავშირებით რეკომენდაციაზე დაწესებულების მხრიდან თანხმობა არსებობდა. სილაბუსებში მართლაც შეინიშნებოდა რუსული ლიტერატურის სიჭარბე, თუმცა, სამუსიკო განხრამი ამის თავიდან აცილება რთული იქნებოდა, რადგან დარგის ჩამოყალიბების და განვითარების ხანა ემთხვეოდა ქვეყნის რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ყოფნის წლებს. სტუდენტებს ესაჭიროებოდათ რუსული ლიტერატურა მუსიკალური გენეზისის და განვითარების პროცესების შესასწავლად. თუმცა, შესაბამისი საგნების მასწავლებლებს მოეთხოვებოდათ წარმოედგინათ შესაბამისი ლიტერატურის ქართულენოვანი რიდერები, რაც ენობრივ ბარიერს აღმოფხვრიდა.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ შემუშავებულ იქნა ინკლუზიური განათლების სილაბუსები. კრედიტების რაოდენობა დაყვანილ იქნა 4-5 კრედიტზე და შესაბამისი საგნების შემთხვევაში გათვალისწინებულ იქნა კომუნიკაციის უნარების განვითარება. პროგრამაში ინტეგრირებულ იქნა დარგისა და მასწავლებლის მომზადების პროგრამისათვის რელევანტური ნორმატიული დოკუმენტები. პროგრამის მომზადებაში თავიდანვე იყო ჩართული კოლეჯის კურსდამთავრებული, ქალბატონი ია გიგაური და სტუდენტური თვითმმართველობის თავმჯდომარე, მეორე კურსის სტუდენტი მეგი ნიკოლეიშვილი.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სასწავლო კურსების სწავლების მეთოდები შესაბამისობაში იქნა მოყვანილი სასწავლო კურსების სპეციფიკასთან. ყველა სილაბუსში აღდგენილ იქნა ძველი შეფასების სისტემა, რომელიც გულისხმობდა - შუალედურ გამოცდას - 30 ქულა, აქტიურობას - 30 ქულა, ფინალური გამოცდა - 40 ქულა.

წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულების ბაკალავრიატის საფეხურის კურსდამთავრებულები დასაქმებულნი იყვნენ არაერთ ევროპულ და პოსტსაბჭოთა ქვეყანაში, ხოლო სტუდენტები მონაწილეობდნენ სხვადასხვა სახელმწიფოებში გამართულ ღონისძიებებში, როგორც რეგიონში ასევე ევროპასა და ამერიკაში და საქართველოში ჩატარებულ საერთაშორისო ფესტივალებში. ანალოგიური ეხებოდათ პროფესორ-მასწავლებლებსაც.

საბჭოს წევრი, ნატო გენგიური დაინტერესდა, პროგრამა გახლდათ ახალი თუ ის წარმოდგენილი იყო რეაკრედიტაციის მიზნით.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამა იყო ახალი, მისი მიზანი იყო მოემზადებინა სამემსრულებლო ხელოვნების დარგის სპეციალისტები.

წარმომადგენელმა, აკადემიური პერსონალის შესახებ არსებულ საკითხზე განაცხადა რომ 2018 წლის 14 აპრილს გამოცხადდა კონკურსი აკადემიურ თანამდებობებზე, ხოლო მოგვიანებით განთავსდა კოლეჯის ვებ გვერდზე.

წარმომადგენელმა შეახსენა საბჭოს პროგრამის აუცილებლობაზე რეგიონული თვალსაზრისით და მოუწოდა მათ პროგრამას მისცემოდა შანსი ყოფილიყო განხორციელებული.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს განუმარტა, რომ საბჭო შეზღუდული იყო წესებით. ბუნებრივია, საბჭო საკითხების განხილვისას ითვალისწინებდა რეგიონულ საჭიროებებსაც, თუმცა განსახილველი პროგრამის შესახებ დაწესებულების მიერ ჩამოთვლილი გარემოებები ფაქტობრივად ქმნიდა ახალი პროგრამის წარდგენის წინაპირობას. ასევე აღსანიშნავი იყო ისიც, რომ რეკომენდაციებიდან იკვეთებოდა ავტორიზაციის სტანდარტებთან დაკავშირებული საკითხებიც, ისეთი, როგორიც იყო ინფრასტრუქტურა, ტექნიკური ბაზა, ადამიანური რესურსი და სხვა.

საბჭოს წევრმა, ნატო გენგიურმა მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, რომ პროგრამა არსით იყო სახელოვნებო, თუმცა შეიცავდა პედაგოგიკასაც. როგორც დაწესებულება აცხადებდა პროგრამაში შეტანილ იქნა ცვლილებები. მას აინტერესებდა რა მიმართულებით ჰყავდა დაწესებულებას აკადემიური პერსონალი.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პერსონალი ჰყავდათ საშემსრულებლო მიმართულებით, ყველა მათგანი პროფესიით მუშაობდა და იყო პროფესიონალი.

საბჭოს წევრი, ნათელა სახოკია დაინტერესდა პროგრამაზე დაშვების წინაპირობით.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაშვების წინაპირობა თავდაპირველად გათვალისწინებული არ იყო და პროგრამას მოგვიანებით დაემატა.

საბჭოს წევრმა, სოფიკო ლობჯანიძემ განაცხადა, რომ აღნიშნული პროფესია რეგულირდებოდა კანონით, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა უნდა ყოფილიყო მასწავლებლის საგნობრივი კომპეტენციის დადასტურება.

საბჭოს წევრმა, ირინე გოცირიძემ იკითხა, ინტერნაციონალიზაცია არ დასტურდებოდა პროგრამაზე, თუ ზოგადად კოლეჯს არ ქონდა ინტერნაციონალიზაციის მაჩვენებლები

ექსპერტმა განაცხადა, რომ იყო შემთხვევები, როდესაც ჩამოდიოდნენ უცხოელი პროფესორები და ატარებდნენ მასტერკლასებს, თუმცა ამას არ ჰქონდა სისტემატიური ხასიათი. ინტერნაციონალიზაციის ერთ-ერთი ინდიკატორი იყო მემორანდუმები, რაც დაწესებულებას არ ჰქონდა, არ იკვეთებოდა უცხოურ დაწესებულებებთან ფორმალიზებული ურთიერთობების არსებობა.

საბჭოს წევრმა, ნათელა სახოკიამ იკითხა, რამდენი სტუდენტის მიღებას აპირებდა დაწესებულება.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნული პროგრამა დაეხმარებოდა ისეთ სტუდენტებსაც, ვისაც სხვადასხვა მიზეზების გამო არ შეეძლოთ სცენაზე დგომა და მათ მისცემდა გასაქანს.

საბჭოს წევრმა, სოფიკო ლობჯანიძემ განუცხადა დაწესებულების წარმომადგენლებს, რომ მუსიკის მასწავლებლის მომზადება არ ხდებოდა სხვაგან არსად, გარდა კონსერვატორიისა. ხელმისაწვდომობის საჭიროება არსებობდა, თუმცა ეს უნდა ყოფილიყო ხარისხიანი. ორიენტირება უნდა მომხდარიყო ხარისხზე და არა რაოდენობაზე. მოცემული პროგრამით სტუდენტები გახდებოდნენ მუსიკის სპეციალისტები, რაშიც ეჭვი არავის შეჰქონდა, თუმცა არა პედაგოგები. პროგრამა აცდენილი იყო მასწავლებლის მომზადების დარგობრივ მახასიათებლებთან. ხშირ შემთხვევაში სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა იყო მოძველებული, 70-იანი წლებში გამოცემული, აღნიშნული პერიოდის შემდეგ კი პედაგოგიკაში გადატრიალება მოხდა და ძალიან ბევრი რამ შეიცვალა. პედაგოგიკაში არსებობდა ბევრი ქართულენოვანი სახელმძღვანელო, რომლის გამოყენებაც

დაუბრკოლებლად იყო შესაძლებელი. პროფესია იყო რეგულირებადი და დაწესებულებას გააჩნდა ვალდებულება დარგობრივ მახასიათებლებზე გაეყვანა კურსდამთავრებული. მისი რჩევა იყო პროგრამის განახლებისას განეახლებინათ ლიტერატურა და პუნქტობრივად გაყოლოდნენ დარგობრივ მახასიათებელს.

16:08 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესავენება.
სხდომა განახლდა 16:18 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქ. ქუთაისის სამუსიკო კოლეჯის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამისთვის (მუსიკა) აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: - 0

წინააღმდეგი: - 14

გადაწყვეტილება :

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^ა მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 27^ბ მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - ქ. ქუთაისის სამუსიკო კოლეჯის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას (მუსიკა) უარი ეთქვას აკრედიტაციაზე.

2. შპს კავკასიის უნივერსიტეტის ჯანდაცვის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ჯანდაცვის მენეჯმენტი
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში 0203
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა განაცხადა თვითაცილება განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ შემუშავებულ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს ესაუბრათ პროგრამასთან დაკავშირებული ძირითადი რეკომენდაციების შესახებ.

ექსპერტმა განაცხადა რომ ვიზიტის დროს გამოკვეთილ იქნა შემდეგი რეკომენდაციები:

- რეკომენდირებული იყო სასწავლო კურსების სახელწოდებები „საინფორმაციო სისტემები 1“ და „საინფორმაციო სისტემები 2“ თავისი შინაარსიდან გამომდინარე ჩამოყალიბებულიყო, როგორც საოფისე პროგრამები 1,2 ან საინფორმაციო ტექნოლოგიები 1,2;

- რეკომენდირებული იყო სასწავლო კურსში „ჯანდაცვის მართვის საინფორმაციო სისტემები“ განხილული ყოფილიყო საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის ერთიანი საინფორმაციო სისტემა ცალკეული მოდულების მიხედვით, ხოლო MS Project-ის სწავლება განხორციელებულიყო „პროექტის მენეჯმენტი ჯანდაცვაში“ დისციპლინის ფარგლებში;

- რეკომენდირებული იყო სასწავლო კურსების სილაბუსებში ტექნიკური ხარვეზების გარეშე იქნეს წარმოდგენილი ინფორმაცია ლექტორების საკონტაქტო მონაცემების, კურსის სტატუსის და საათების გადანაწილების შესახებ;

- რეკომენდირებული იყო გააქტიურებული ყოფილიყო პროგრამის პოტენციური დამსაქმებლების პროგრამის შემუშავების პროცესში მონაწილეობის მექანიზმები, კერძოდ საჭირო იყო მათი აქტიური ჩართულობა არა მარტო პროგრამის კურსდამთავრებულების დასაქმების საქმეში, არამედ პროგრამის შემუშავების პროცესშიც;

- რეკომენდირებული იყო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით დაკონკრეტდეს ყველა სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული სწავლების მეთოდების მიზნობრივი გამოყენების პირობები;

- მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტები ლექტორებისაგან (ინდივიდუალური შეთანხმებების საფუძველზე) შეუზღუდავად იღებდნენ კონსულტაციებს, რეკომენდირებული იყო სასწავლო კურსების ყველა სილაბუსში დაფიქსირებულიყო საკონსულტაციო საათები და შემდგარიყო საკონსულტაციო დატვირთვის სქემა;

- რეკომენდირებული იყო ზოგიერთ სასწავლო კურსში (მაგ. ბიზნესის სტატისტიკის საფუძვლები, მენეჯმენტის ძირითადი პრინციპები, ჯანდაცვის პოლიტიკა და რეფორმები, ლიდერობა და გუნდის მართვის საფუძვლები) სავალდებულო ლიტერატურის განახლება, ხოლო იმ კურსებში, სადაც მხოლოდ ინგლისურენოვანი სავალდებულო ლიტერატურა იყო მითითებული მომხდარიყო ქართულენოვანი რიდერების ჩამატება და საბიბლიოთეკო ბაზაში განთავსება.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს გამოკვეთილ იქნა მთავარი ძლიერი მხარე, რაც მდგომარეობდა კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალ მაჩვენებელში.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა დამსაქმებლების ჩართულობის შესახებ რეკომენდაციაზე განაცხადა, რომ ბუნებრივი იყო მეტი ჩართულობა ყოველთვის უმჯობესი იქნებოდა, თუმცა ზოგადად ჩართულობა არსებობდა, უნივერსიტეტში დანერგილი იყო საუნივერსიტეტო მექანიზმები, რაც განსაზღვრავდა, თუ როგორ უნდა განხორციელებულიყო პროცესში მათი ჩართულობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ როდესაც საუბარი ეხებოდა სწავლების მეთოდებს, საჭირო იყო მეტი კონკრეტიკა, რადგან თუ რომელიმე კურსში რომელიმე მეთოდი არარელევანტურად იქნებოდა შეტანილი, მაშინ დათანხმება შესაძლებელი გახდებოდა, თუმცა ზოგადი აპელირება მეთოდების სიჭარბეზე დათანხმებას რთულს ხდიდა, რადგან ლექტორს ვერავინ აუკრძალავდა გამოეყენებინა ის მეთოდები, რასაც თავად ჩათვლიდა საჭიროდ.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაწესებულება მზად იყო გაეთვალისწინებინათ რეკომენდაცია საკონსულტაციო საათების შესახებ და მოეხდინათ პროცესის დოკუმენტური გამართვა და ფორმალიზება. ასევე მოხდა რეკომენდაციის გაზიარება რიდერების შესახებაც, რიდერების სრულყოფილი ჩამონათვალი ხელმისაწვდომი იყო ბიბლიოთეკაში, თუმცა ასევე უნდა აღნიშნულიყო, რომ სტუდენტებს ჰქონდათ სრული წვდომა ლიტერატურაზე, რაც გამოყენებული იყო სასწავლო პროცესში, რაც შეეხებოდა ბიბლიოთეკაში მათ ასახვას, ხარვეზი გამოსწორებულ იქნა.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამა შემუშავებულ იყო ამერიკის უნივერსიტეტების აქტიური ჩართულობით და იმდენად რამდენადაც ერთ-ერთი თანაავტორი თავად იყო მონაწილე პროგრამის დანერგვის ჯანდაცვის სისტემაში, სტუდენტებს საშუალება ჰქონდათ პირველ პირთან უშუალო კონტაქტისა.

თავმჯდომარემ განაცხადა, რომ კურსში - ბიზნესის საფუძვლები რამოდენიმეჯერ იყო გამოყენებული "ქალი და ბიზნესი", მან იკითხა იყო თუ არა ეს ჟურნალი, ან რაიმე წყარო.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ბიზნესის საფუძვლებს ასწავლიდა ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის წარმომადგენელი და ეს ორგანიზაცია უშვებდა მსგავს ლიტერატურას და ყველა, რაც სილაბუსში მითითებული იყო გამოიყენებოდა სწავლის პროცესში. სწავლება ხდებოდა პრაქტიკულ მოდელებზე ორიენტირებით.

წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ ეკუთვნოდათ ერთ-ერთი პირველი პროგრამა, რომელიც შეეხებოდა ქალების ჩართვას ბიზნესის და ეკონომიკურ სფეროში.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სილაბუსებში არ იყო მითითებული ლექტორები, ზოგიერთ მათგანში კი დამაბნეველი აღნიშვნები იყო გაკეთებული. მას აინტერესებდა, რამ გამოიწვია აღნიშნული გარემოება.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ადგილი ჰქონდა ტექნიკურ ხარვეზს, რადგან დოკუმენტაციის გადმოგზავნა დაემთხვა პერიოდს, როდესაც დაწესებულებამ გამოიცვალა შენობა და მოხდა სამუშაო ვერსიების ჩაწერა, თუმცა სრულყოფილი ვერსიები არსებობდა ბაზაში, რაც ექსპერტებმა ვიზიტის დროს შეამოწმეს კიდეც. შემდგომში კი ვერსიის შეცვლა აღარ მომხდარა და დარჩა პირველადი გადმოგზავნილი მასალა.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ განაცხადა, რომ კურიკულუმში იყო უამრავი ტექნიკური ხარვეზი. მას შეეძლო ესაუბრა მხოლოდ იმ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, რომელიც საბჭოს წევრებთან იყო გადმოგზავნილი, ის ვერ შეაფასებდა პროგრამას დაწესებულებაში არსებული განსახვავებული დოკუმენტაციის მიხედვით. მას უჭირდა გაეგო კურიკულუმის შედგენაში არსებული ლოგიკა, მისი მოსაზრებით დოკუმენტაცია მომზადებული იყო ნაჩქრევად რამაც განაპირობა კურიკულუმში არსებული ხარვეზები.

საბჭოს წევრის, გიორგი თურქიას განცხადებით, ლოგიკაში არ ჯდებოდა ის გარემოება, რომ ყველა საგანს მათი მნიშვნელობისა და სირთულის მიუხედავად მინიჭებული ჰქონდა ერთი და იგივე კრედიტი. პროგრამა ამზადებდა სტუდენტს ბიზნეს ადმინისტრირების კვალიფიკაციით. აღნიშნულის გათვალისწინებით ალოგიკურად ჩანდა საგნებში საათობრივი დატვირთვის გადანაწილება და მათი არჩევითობის და ძირთადობის საკითხი. მაგალითისათვის, კურსში მსოფლიო სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური გეოგრაფია და კურსში ფინანსური მენეჯმენტი, რომელთაგანაც ცხადი იყო რომელი იყო ბიზნესის ადმინისტრირების კვალიფიკაციისათვის უფრო რელევანტური, თუმცაა ორივე საგანში დატვირთვა და კრედიტების მოცულობა იდენტური იყო. ასევე გაკვირვებას იწვევდა საგნების შიგნით დატვირთვის გადანაწილება. მაგ. მსოფლიო სოციალურ-პოლიტიკურ და ეკონომიკური გეოგრაფიაში - 16 საათი ლექცია, 8 საათი სემინარი, 2 საათი პრეზენტაცია, 4 საათი გამოცდა. ფინანსურ მენეჯმენტში - 18 საათი ლექცია, 6 საათი სემინარი, 2 საათი პრეზენტაცია, 4 საათი გამოცდა. გაუგებარი იყო ის გარემოება, რომ სემინარების (პრაქტიკულების) რაოდენობით ფინანსების კურსს, რომელიც პრაქტიკაზე უნდა ყოფილიყო ორიენტირებული, აჭარბებდა გეოგრაფიის კურსი.

წარმომადგენელმა, განაცხადა, რომ იგი არ იზიარებდა საბჭოს წევრის მოსაზრებებს და განაცხადა, რომ ნებისმიერი დაწესებულება, სადაც ჯანდაცვის მენეჯმენტი ისწავლებოდა ეყრდნობოდა უცხოურ მოდელებს. როდესაც პროგრამა იქმნებოდა, გაწეულ იქნა მნიშვნელოვანი შრომა თითოეულ საგანზე და განისაზღვრა რომელ სემესტრში რა თემატიკა უნდა ყოფილიყო ჩასმული. ამასთანავე პროგრამა არ ამზადებდა ფინანსების ადმინისტრირების სპეციალისტს, რაც შეეხებოდა კვალიფიკაციას, ბიზნესის მიმართულებით მისი მინიჭება ხდებოდა იმიტომ, რომ კანონმდებლობა არ იძლეოდა ჯანდაცვის მენეჯმენტის მიმართულებით კვალიფიკაციის მინიჭების შესაძლებლობას. ამასთანავე უნდა აღნიშნულიყო, რომ ნაკლები საათობრივი დატვირთვა ავტომატურად არ ნიშნავდა ნაკლებ

მუშაობს. თანამედროვე სწავლებაში მეტი აქცენტი უნივერსიტეტის გარეთ მუშაობაზე მოდიოდა. პროგრამა არ იყო მარტივი, მას ვერ ასრულებდა ყოველი მსურველი. ყოველივე ამის გათვალისწინებით, პროგრამა სრულიად ლოგიკურად დალაგებულად უნდა მიჩნეულიყო.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ განაცხადა, რომ თუ დაუბრუნდებოდნენ მაგალითისათვის კვლავაც მსოფლიო სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური გეოგრაფიის კურსს, მასში 11 შეხვედრიდან რომლებშიც ხორციელდებოდა სალექციო დატვირთვა, არ იგულისხმებოდა პირველი - გაცნობითი შეხვედრა, 5 შეხვედრა დათმობილი ქონდა დემოგრაფიის, მოსახლეობის საკითხებს. მოსახლეობის საკითხებით წილობრივად კურსის დატვირთვა ფაქტობრივად არ შეესაბამებოდა საგნის სათაურს. ვინაიდან, კურსი სახელწოდებიდან გამომდინარე, მსოფლიო სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური გეოგრაფიის მთელ სპექტრს უნდა მოიცავდეს. თუ ჩახედავდნენ სილაბუსს, მსოფლიოს ბუნებრივ რესურსებზე საუბარს ეთმობოდა მხოლოდ 1 შეხვედრა, რომლის მანძილზეც აღნიშნული თემის გაშლა ბაკალავრიატის საფეხურზე შეუძლებელი იყო. ბუნებრივი რესურსი მოიცავდა საკითხებს დაწყებული მზის ენერგიით, საასარგებლო წიაღისეული, ზღვის მიქცევა მოქცევის ენერგიას და უამრავ სხვას. აღნიშნული უფრო ჰგავდა სკოლის მიდგომას - სკოლაში გეოგრაფიის სწავლებას, ბაკალავრიატის საფეხურზე საჭირო იყო განსხვავებული მიდგომა

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ვერ დაეთანხმებოდა საბჭოს წევრს. დაწესებულება 20 წელია არსებობდა და პროგრამას 5 წლიანი ისტორი ჰქონდა. სილაბუსებში არსებული თემებიდან ზოგიერთი ცალკე საგნადაც ისწავლებოდა. აქ მნიშვნელობა ენიჭებოდა იმას თუ რა დოზით იქნებოდა მიწოდებული ინფორმაცია სტუდენტებისათვის თითოეულ საგანზე.

საბჭოს წევრმა, გელა გელაშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულების ისტორიაზე აპელირება ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, თითქოს მხოლოდ ამის გამო პროგრამა, მიუხედავად მისი ხარისხისა, ცუდად არ უნდა შეფასებულიყო.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მას არ უგულისხმია აღნიშნული და მხოლოდ ლექტორების მუშაობის გამოცდილებას გაუსვა ხაზი. პროგრამები დროთა განმავლობაში ვითარდებოდა სტუდენტების უკუკავშირის ფონზე. გეოგრაფიის მიმართ ინტერესი გამოიწვია იმან, რომ სკოლებში არ ხდებოდა სოციალური და ეკონომიკური გეოგრაფიის სწავლება, ამიტომ უმაღლეს სასწავლებლებს უწევდათ გამოესწორებინათ აღნიშნული ხარვეზი.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ განაცხადა, რომ მისთვის ძნელი გასაგები იყო თუ რა პრინციპით იყო შერჩეული ქვეყნები მსოფლიო სოციალურ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ გეოგრაფიაში მოსახლეობის საკითხებზე სასაუბროდ. ჩინეთი, რუსეთი, ჩეხეთი, ინდოეთი და საქართველო. ალბათ უმჯობესი იქნებოდა ქვეყნების შერჩევა მომხდარიყო საქართველოს ჭრილში და მსგავსებიდან გამომდინარე. ეს არ ნიშნავდა, რომ ჩამოთვლილი ქვეყნების უგულველყოფა მომხდარიყო, შერჩევაში საჭირო იყო მეტი მრავალფეროვნება. ამასთანავე, გაუგებარი იყო რა პრინციპით ხდებოდა საგნებისათვის სავალდებულო და არჩევითი სტატუსის მიკუთვნება. მაგალითად საქართველოს ისტორია სავალდებულო საგნად იყო მოცემული იმ ფონზე, როდესაც სტუდენტს, რომელიც ბიზნეს ადმინისტრირებაში იღებდა კვალიფიკაციას, შეეძლო ისე დაესრულებინა პროგრამა, რომ კორპორატიული ფინანსების ერთადერთი საგანი - ფინანსური მენეჯმენტი არ აერჩია და არ გაეელო, არჩევითობის სტატუსიდან გამომდინარე. უმჯობესი იქნებოდა კურიკულუმში მსგავსი მიდგომის შეცვლა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამაზე ისწავლებოდა ყველა სავალდებულო დისციპლინა, თუმცა გაძლიერებული სწავლება მიმდინარეობდა ჯანდაცვის მიმართულებით.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ განაცხადა, რომ საათობრივი დატვირთვისადმი მიდგომა განსხვავდებოდა სილაბუსებში საგნების მიხედვით. იდენტურ სიტუაციებში ზოგან მოცემული იყო 125 ხოლო ზოგან 130 საათი. ლექტორის ინდივიდუალური საკონსულტაციო საათები მთლიან დატვირთვაში ზოგან ჩათვლილი იყო ზოგან კი არა. ამაში რთული იყო ლოგიკის დანახვა. გარდა ამისა, კურსკულუმში იყო საგანი ქართული წერა, მეტყველების კულტურა, რომელსაც საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით დაწესებულება გულისხმობდა, რომ ღირებულება არ გააჩნდა, რაც არ ფიქსირდებოდა სხვა ენებთან მიმართებაში. ღირებულებაში იგულისხმებოდა შედეგებზე გასვლა. მან იკითხა რაზე კეთდებოდა აქცენტები საგანში “ფარმაციის მენეჯმენტი და პოლიტიკა”. ფარმაციის სფეროში მომუშავე კომპანიების მართვაზე თუ ფარმაციის სფეროში სახელმწიფოს მხრიდან გატარებულ პოლიტიკაზე. თუ საგანში აქცენტები კეთდებოდა სახელმწიფო კანონმდებლობაზე და პოლიტიკაზე, მაშინ საჭირო ხდებოდა უცხოური გამოცდილების განხილვაც, მაგალითად განსხვავებები აშშ და ევროპული ბაზრების რეგულაციებში, ინდოეთის ბაზრის თავისებურებების განხილვა, სადაც არ მოქმედებდა პატენტის უფლება, საავტორო უფლების დაცვა და ა.შ. მნიშვნელოვანი იყო ისეთი საკითხები როგორიცაა იყო ჯენერიკი მედიკამენტები, ბრენდი მედიკამენტები, GMP-ის საკითხები. თუ აქცენტი კეთდებოდა კომპანიის დონეზე მაშინ საგანს დასჭირდებოდა განსხვავებული მიდგომა.

საბჭოს წევრმა ასევე აღნიშნა, რომ ფინანსურ მენეჯმენტში, იყო შინაარსობრივად კარგად გამართული სილაბუსი. ალბათ ერთ-ერთი ყველაზე კარგი სილაბუსი რაც აღნიშნული მიმართულებით პროგრამებში იყო შესული. თუმცა, კარგი იქნებოდა თუ სილაბუსში გამოყენებული ტერმინი “საწარმოს შეფასება” შეიცვლებოდა ბიზნესის შეფასებით. ამასთანავე “მისი შესყიდვა, შეერთება”, დამატებოდა გაყიდვაც, რადგან ბიზნესში ასევე მნიშვნელოვანი იყო კომპანიის გაყიდვაც. ბიზნესის შეფასება ხდებოდა, როგორც მისი შესყიდვის ასევე მისი გაყიდვის მიზნით.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა რომ, არცერთ საგანში საკონტაქტო საათში არ ითვლებოდა საკონსულტაციო საათი, რისი გადამოწმებაც მარტივად იყო შესაძლებელი. ამასთანავე ხაზგასმით უნდა აღნიშნულიყო, რომ ჯანდაცვის მენეჯმენტის მიმართულებით ისწავლებოდა ყველა ის საგანი, რაც ჯანდაცვის მიმართულებით იყო აუცილებელი. პროგრამა არ იყო ტიპიური ბიზნეს ადმინისტრირების პროგრამა. აღნიშნულ პროგრამას ვერავენ მიმართავდა სხვა მიმართულების კვალიფიკაციისაკენ, რადგან ამას არ ითვალისწინებდა კვალიფიკაციათა ჩარჩო. ფარმაციის მენეჯმენტი და ყველა სხვა საგანი ეხებოდა ჯანდაცვის მენეჯმენტის საკითხებს და ლექტორები, რომლებიც ასწავლიდნენ საგნებს იყვნენ ის პრაქტიკოსი ლექტორები, რომლებმაც თავად დაიწყეს საჭირო, კონკრეტული თემების წამოწევა საქართველოში. ისინი სტუდენტებს ასწავლიდნენ ევროპულ და ამერიკულ მოდელებსაც.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საბჭოს წევრი გიორგი თურქია საუბრობდა იმ სილაბუსების მიხედვით, რაც წარმოდგენილი იყო და რისი განხილვაც რეალურად შეეძლო საბჭოს, ამიტომაც ამაზე კამათის გაგრძელება დროის დაკარგვა იქნებოდა. მან ასევე განაცხადა, რომ მაგალითისათვის, იურიდიულ ფაკულტეტზე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სავალდებულო საგნებს, რომლებსაც ჰქონდათ თანაბარი საათობრივი დატვირთვა, ენიჭებოდათ ერთი და იგივე კრედიტები. თუ, დაწესებულება ამბობდა, რომ კრედიტი ერთი

და იგივე იყო, თუმცა განსხვავდებოდა საათობრივი დატვირთვა, მაშინ ამ თვალსაზრისით ბოლონიის პროცესი არ განასხვავებდა საათი საკონტაქტო იქნებოდა თუ დამოუკიდებელი მუშაობის.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ბოლონიის პროცესის მიხედვით, კრედიტი ითვლებოდა ჯამში და პრობლემას არ ქმნიდა ის საკონტაქტო საათი იქნებოდა მეტი თუ დამოუკიდებელი მუშაობის. საათები შესაძლოა ერთი ყოფილიყო, თუმცა თუ ისინი ჩაიშლებოდა განსხვავებულად, ეს არავითარ პრობლემას არ ქმნიდა.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ დაწესებულებას ბაზაში შესაძლოა ამ მხრივ დაბალანსებული სახით ჰქონდა სილაბუსები, თუმცა წარმოდგენილ ვარიანტებში სახეზე იყო საათობრივი უთანასწორობა.

საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა განაცხადა, რომ პროგრამის მიზანი უმჯობესი იქნებოდა ყოფილიყო ლაკონური. პროგრამის წარმოდგენილი მიზანი მეტად გავდა შეფასებას. არ იყო მითითებული კოდებიც, რაც სავარაუდოდ ტექნიკური ხარვეზი იყო. ამასთანავე, საგანში “ინფორმაციული ტექნოლოგიები” დასახელება აცდენილი იყო იმას, რისი სწავლებაც რეალურად ხდებოდა. ინფორმაციული ტექნოლოგიები არსობრივად სხვა რამ იყო, ხოლო საოფისე პროგრამების სწავლება სხვა.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნულ საკითხზე ექსპერტები გაესაუბრნენ საგნის პროფესორებს და ყველა კითხვაზე პასუხი გაცემულ იქნა.

საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა განაცხადა, რომ საუნივერსიტეტო დონეზე პროგრამა “Word”-ის სწავლება დროის კარგვა იქნებოდა. მითუმეტეს თანამედროვე პირობებში, როდესაც სტუდენტებში ამის საჭიროება არ იყო, თანაც ისეთი საბაზისო სახით, რა სახითაც ისწავლებოდა.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ვერ დაეთანხმებოდა საბჭოს წევრის მოსაზრებას, ვინაიდან სტუდენტებში საჭიროება პროგრამის სწავლებაზე არსებობდა.

საბჭოს წევრმა ელიზბარ ელიზბარაშვილმა იკითხა, რატომ ისწავლებოდა მაინც და მაინც Gmail ან Drive და არა მაგალითისათვის MS Outlook, რაც MS Office სწავლების კონტექსტშიც ჩაჯდებოდა და ბევრად უფრო დახვეწილი პროგრამაც იყო. მას მიაჩნდა, რომ ამ საკითხებს, საუნივერსიტეტო დროის კარგვის გარეშე სტუდენტი დამოუკიდებლად შეძლებდა შესწავლას, თუ მის წინაშე დადგებოდა აღნიშნულის საჭიროება.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, მას ახსოვდა რომ დაწესებულებაში რამდენიმე წლის წინ გაჩნდა აზრი სწავლებიდან ამოღებულიყო საოფისე პროგრამები, თუმცა შეხედულებების ორად გაყოფის გამო ეს არ მოხდა. მან აღნიშნა, რომ პირადად ეთანხმებოდა საბჭოს წევრს, თუმცა არსებობდა ალბათობა, რომ საბჭოს სხვა შემადგენლობის ფარგლებში გაჩნდებოდა საპირისპირო კითხვა, თუ რატომ არ ისწავლებოდა საოფისე პროგრამები.

საბჭოს წევრმა, ნათელა სახოკიამ განაცხადა, რომ მას რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ პროგრამაში საკმარისი დოზით ჯანდაცვა არ იყო წარმოდგენილი. რადგან ეს იყო საბაკალავრო დონე, სტუდენტს სჭირდებოდა ფართო საბაზისო ცოდნაც, როგორ ვითარდებოდა ჯანდაცვის სისტემები, როგორ აიღო სახელმწიფომ პასუხისმგებლობა და სხვა. არ ჩანდა ქართული საყოველთაო ჯანდაცვის შესახებ სწავლებაზეც ინფორმაცია. სტუდენტებს ესაჭიროებოდათ ფართო ცოდნის სპექტრის შეთავაზება, თუნდაც ლიბერალული განათლების ჩარჩოს ფორმით. ამასთან, ის თვლიდა, რომ კურსებში პრეკალკულუსი და კალკულუსი, გარკვეული შეუსაბამობა იყო, რადგან პრეკალკულუსი მოიცავდა უკიდურესად საბაზისო ცოდნის მიცემას, რასაც შემდგომში მოჰყვებოდა კალკულუსი, რომელიც შედარებით რთული

იყო და თუ პრეკალკულუსის თემატიკის გათვალისწინება მოხდებოდა უმჯობესი იქნებოდა კალკულუსის სირთულის შემცირებაც.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ დაამატა, რომ ხომ არ აჯობებდა ეკონომიკური გეოგრაფიის ან საქართველოს ისტორიის ნაცვლად მომხდარიყო მაგალითად წითელი ჯვრის ორგანიზაციის ისტორიის ან ჯანდაცვის სფეროს ისტორიის სწავლება რათა არ გაჩენილიყო სკოლის თემატიკის გაგრძელების განცდა ზემოთ ჩამოთვლილ საგნებში.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ჯანდაცვის პოლიტიკა ისწავლებოდა ბისმარკის მოდელიდან “ოზამა ქერამდე”. გარდა ამისა, სტუდენტები აქტიურად დადიოდნენ სამინისტროში და ეცნობოდნენ ინფორმაციას, როგორ ხდება ურთიერთობები, რას წარმოადგენდა ხარისხის სააგენტო და სხვა. კურსდამთავრებულები მუშაობდნენ დაავადებათა კონტროლის ცენტრში და პროფილურ სამინისტროში. ჯანდაცვის ბაზარი განსხვავებულ ბაზარს წარმოადგენდა, ამიტომაც დაწესებულება ცდილობდა მიეცა სტუდენტებისათვის, როგორც ფინანსური კუთხით ცოდნა, ასევე ცოდნა მორალურ-ზნეობრივი კუთხით, რადგან ბაზრის სპეციფიკიდან გამომდინარე, მცირედი გადაცდომაც კი რთულ შედეგებს იწვევდა. რადგანაც სტუდენტები უნივერსიტეტში მოდიოდნენ მათემატიკის მწირი ცოდნით, პრეკალკულუსის სწავლება საჭიროებიდან გამომდინარე ხდებოდა და დაწესებულება ვალდებული იყო დახმარებოდა სტუდენტებს, თავისუფალი კრედიტების ხარჯზე.

საბჭოს წევრი, ნათელა სახოკია დაინტერესდა, რთული იყო თუ არა კალკულუსის სასწავლო კურსი.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სასწავლო კურსი შეიქმნა სპეციალურად მოცემული პროგრამისათვის და მოიცავდა ძირითად საკითხებს, რაზეც შემდგომ სხვა ცოდნა დაშენდებოდა.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ აღნიშნული პრობლემა საყოველთაო იყო, რაც ნიშნავდა რომ სერიოზული ხარვეზები არსებობდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სწავლების ხარისხის კუთხით, რადგან უმაღლესი განათლების პროგრამებზე მიდიოდნენ სტუდენტები, რომლებსაც მართლწერასთანაც კი პრობლემები ჰქონდათ.

საბჭოს წევრმა, დიმიტრო ჯაფარიძემ იკითხა, როგორი იყო ტენდენცია, სტუდენტები რომლებიც ვერ ძლევდნენ პრეკალკულუსს, ძლევდნენ თუ არა ინგლისურენოვან ლიტერატურას, რაც მითითებული იყო სილაბუსებში.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კორელაცია არსებობდა, რომ თუ აღნიშნულ კურსს ვერ ძლევდნენ სტუდენტები უჭირდათ ინგლისურენოვანი ლიტერატურის დამლევაც.

საბჭოს წევრმა, დიმიტრი ჯაფარიძემ განაცხადა, რომ ალტერნატივა იქნებოდა ქართულენოვანი რიდერების მომზადება იქ, სადაც მხოლოდ ინგლისურენოვანი ლიტერატურა იყო.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ რიდერები მომზადებული იყო. მაგალითად ჯანდაცვის მომსახურების მარკეტინგში სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურად მითითებული იყო ინგლისურენოვანი წყაროები. ბაკალავრიატში ქართულენოვან პროგრამაზე ქართული წყარო აუცილებელი იყო და თუ დაწესებულება ამბობდა, რომ წყარო არსებობდა, ის იყო მითითებული სილაბუსში. ამასთანავე, ლიტერატურაში, მაგალითად პროექტის მართვაში მითითებული იყო სავალდებულო ლიტერატურად - პროექტის მართვა მარტივად, წიგნები ე.წ. for dummies, შეიძლებოდა თუ არა ეს მისაღებად ჩათვლილიყო. დაწესებულების წარმომადგენელმა თქვა, რომ ლიტერატურას მოჰყვებოდა ინსტრუქციაც და სტუდენტები რეალურად სწავლობდნენ პროექტის მართვას.

საბჭოს წევრმა, დიმიტრი ჯაფარიძემ განაცხადა, რომ აკადემიურ სივრცეში for dummies არ გამოიყენებოდა და საჭირო იყო აკადემიური წყაროს მითითება.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ განაცხადა, რომ ერთ-ერთი საგნის სახელწოდება PR ჯანდაცვაში რელევანტური არ იყო და უმჯობესი იქნებოდა ტერმინის - კომუნიკაციების გამოყენება.

საბჭოს წევრმა, დიმიტრი ჯაფარიძემ განაცხადა, რომ ასევე იყო ტექნიკური ხარვეზი ერთ-ერთ კურსზე, რომელიც უთითებდა რომ სტუდენტს აძლევდა ღრმა სისტემურ ცოდნას, რაც რეალურად განათლების მეორე საფეხურის პრერეგაცივა იყო.

ექსპერტმა განაცხადა, რომ პროგრამას რა თქმა უნდა ესაჭიროებოდა ტექნიკური შესწორებები, თუმცა ის ვერ გაიზიარებდა იმ აზრს, რომ პროგრამა შედეგზე ვერ გადიოდა.

საბჭოს წევრმა, დიმიტრი ჯაფარიძემ მიმართა ექსპერტს, რომ საბჭო უფლებამოსილი იყო არ გაეზიარებინა ექსპერტის მოსაზრება.

ექსპერტმა განაცხადა, რომ პროგრამა საყოველთაო ჯანდაცვის შესახებ სწავლებას მოიცავდა. რაც შეეხებოდა ფარმაციას, მნიშვნელოვანი იყო მისი რეგულირების ნაწილი, რაც გათვალისწინებულ იქნა. პროგრამის შეფასება მოხდა დარგთან შესაბამისობაში, რაც პროგრამის მიერ კმაყოფილდებოდა.

საბჭოს წევრმა სოფიკო ლობჯანიძემ 17:40 საათზე დატოვა საბჭოს სხდომა.

17:44 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.

სხდომა განახლდა 18:20 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს კავკასიის უნივერსიტეტის ჯანდაცვის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: - 12

წინააღმდეგი: - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-3¹ პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-3 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მესამე პუნქტის შესაბამისად, შპს კავკასიის უნივერსიტეტის ჯანდაცვის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია. დაწესებულებას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად განესაზღვროს 4 თვე. აღნიშნული ვადის ათვლა დაიწყოს გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საბჭოს შუამდგომლობდა ცენტრის წინაშე, რათა გადაწყვეტილების მიღებიდან 4 თვის ვადაში განხორციელებულიყო პროგრამაზე

მონიტორინგი, რაც გულისმობდა იმას, რომ დაწესებულებას აღნიშნული პერიოდის მანძილზე უნდა გაეთვალისწინებინა საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები.

საბჭოს მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- ბიზნესის ადმინისტრირების კვალიფიკაციასთან შესაბამისობაში მოვიდეს არჩევითი და სავალდებულო საგნების ნუსხა.
- ბიზნეს ადმინისტრირების კვალიფიკაციიდან გამომდინარე მოხდეს საგნების საათობრივი დატვირთვის და კრედიტების გადახედვა.
- მოხდეს გარკვეულ საგნებში შინაარსის გადახედვა.
- საგანი PR ჯანდაცვაში შეიცვალოს საგნით კომუნიკაცია ჯანდაცვაში.
- სილაბუსებში გასწორდეს საათობრივი დატვირთვისთან მიმართებაში არესებული ტექნიკური ხარვეზები.
- მოხდეს სილაბუსებში საგნების კომპეტენციების გადახედვა.
- მოხდეს კოდების მითითება.
- სასწავლო კურსები უზრუნველყოფილი იქნეს ქართულენოვანი ძირითადი ლიტერატურით ან რიდერებით.
- სასწავლო კურსების ძირითადი ლიტერატურა უზრუნველყოფილი იყოს აკადემიური და არა პოპულარული სახელმძღვანელოებით.
- სასწავლო კურსის სწავლის შედეგები მიესადაგოს უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის დონეს.
- გასწორდეს ტერმინოლოგია საოფისე პროგრამების სილაბუსებში.



3. შპს კავკასიის უნივერსიტეტის ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ჯანდაცვის მენეჯმენტი
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ჯანდაცვის მენეჯმენტის მაგისტრი
კვალიფიკაციის კოდის მითითებით	020303
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა განაცხადა თვითაცილება განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ შემუშავებულ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს ესაუბრათ პროგრამასთან დაკავშირებული ძირითადი რეკომენდაციების შესახებ.

ექსპერტმა განაცხადა რომ ვიზიტის დროს გამოკვეთილ იქნა შემდეგი რეკომენდაციები:

- რეკომენდირებული იყო პროგრამის არჩევითი სასწავლო კურსის „პროექტის დაგეგმვა და მართვა“ მიზნები, სწავლის შედეგები და შესასწავლი საკითხები გამიჯნული ყოფილიყო ჯანდაცვის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამაში ასევე არჩევით დისციპლინად წარმოდგენილ „პროექტების მენეჯმენტი ჯანდაცვაში“ სასწავლო კურსის მიზნების, სწავლის შედეგების და შესასწავლი საკითხებისაგან;

- რეკომენდირებული იყო სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსებში: „კვლევის მეთოდოლოგიური სტრატეგიები და კვლევის დიზაინი ჯანდაცვაში“ ან „გამოყენებითი ბიოსტატისტიკა“ და „ბიზნეს სტატისტიკაში“ გამოყენებული ყოფილიყო პროგრამული პაკეტი SPSS ან STATA, რაც მიჩნეული იყო, რომ მნიშვნელოვნად დაეხმარებოდა მაგისტრანტებს სამაგისტრო ნაშრომის კვლევითი კომპონენტის შესრულებაში;

- სასწავლო კურსების „ეფექტური ბიზნეს კომუნიკაციებისა“ და „პროფესიული პრაქტიკა 1“ სილაბუსებში მითითებული სწავლის შედეგები შესაბამისობაში იყო მოსაყვანი

პროგრამის სწავლის შედეგების რუქასთან ან პირიქით, ასევე რეკომენდირებული იყო გრამატიკულად გამართულიყო პროფესიული პრაქტიკა 1 და პრაქტიკა 2 სილაბუსებში ცოდნა გაცნობიერების კონტექსტში წარმოდგენილი სწავლის შედეგები;

- რეკომენდირებული იყო გააქტიურებულიყო პროგრამის პოტენციური დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულების პროგრამის განვითარების პროცესში ჩართულობის მექანიზმები;

- რეკომენდირებული იყო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით დაკონკრეტებულიყო სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული სწავლების მეთოდების მიზნობრივი გამოყენების პირობები;

- მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტები ლექტორებისაგან იღებდნენ ინდივიდუალური შეთანხმების საფუძველზე შეუზღუდავ კონსულტაციებს, რეკომენდირებული იყო სასწავლო კურსების ყველა სილაბუსში დაფიქსირებულიყო საკონსულტაციო საათები და შემდგარიყო საკონსულტაციო დატვირთვის სქემა.

საბჭოს წევრმა, გელა გელაშვილმა იკითხა, თუ რა იყო ექსპერტების საბოლოო დასკვნა პროგრამასთან მიმართებაში. ცენტრის წარმომადგენელმა განმარტა, რომ საბოლოო დასკვნა ახალი წესის მიხედვით აღარ იწერებოდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ წინა პროგრამის დასკვნაში ფიქსირდებოდა იდენტური რეკომენდაციები რაზეც, შესაბამისად პასუხებიც ანალოგიური იყო, ამიტომ ასეთ რეკომენდაციებზე არ გამახვილდებოდა ყურადღება. ტექნიკური ხარვეზები გამოსწორებულ იქნა. რაც შეეხებოდა პირველ საფეხურზე პროექტების მენეჯმენტს და მეორეზე - პროექტების დაგეგმვას და მართვას, მიუხედავად იმისა, რომ საგანმანათლებლო პროგრამებს ბაკალავრის დონეზე და სამაგისტრო დონეზე ჰქონდათ იდენტური სახელები, გადიოდნენ სხვადასხვა კვალიფიკაციაზე. მეორე საფეხური გადიოდა არა ბიზნეს ადმინისტრირებაზე, არამედ ჯანდაცვის მენეჯმენტის მაგისტრის კვალიფიკაციაზე, აქედან გამომდინარე სამაგისტრო პროგრამა აგებული იყო იმ პრინციპზე, რომ შეიძლება მისულიყო სტუდენტი, რომელსაც გავლილი არ ექნებოდა პროექტების მართვა. ორივე ნახსენები საგანი იყო არჩევითი და არა სავალდებულო, რაც ემსახურებოდა სტუდენტებისათვის შესაძლებლობის მიცემას შეეცნოთ ცოდნა. რაც შეეხებოდა SPSS და STATA-ს, თავდაპირველად პროგრამაში ისწავლებოდა აღნიშნული პროგრამები. მოგვიანებით რადგან პროგრამა იყო ჯანდაცვის მენეჯმენტი, ამდენი პროგრამის სწავლება არ იყო საჭირო და საკმარისი იქნებოდა რომელიმე საგანში მათი ჩასმა, თუმცა ეს აღარ მოხდა და ამიტომაც ექსპერტთა რეკომენდაცია გათვალისწინებულ იქნა, რომ სტატისტიკაში აღნიშნული პროგრამების სწავლება მომხდარიყო.

საბჭოს წევრმა, ირინე გოცირიძემ იკითხა, პრაქტიკაში თუ იყო გათვალისწინებული აღნიშნული პროგრამების გამოყენებით პრაქტიკული ამოცანების ან საკურსო პროექტების განხორციელება

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პრაქტიკაში მათი გამოყენება ხდებოდა და სამაგისტრო ნაშრომებიც იწერებოდა მათი გამოყენებით.

თავმჯდომარემ იკითხა, რამდენი სტუდენტის მიღება ხდებოდა პროგრამაზე.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამას 30 სტუდენტი ჰყავდა. მან აღნიშნა, რომ პროგრამაზე ძირითადად მიდიოდნენ ექიმები და მათი მხრიდან პროექტების მართვის არცოდნის გამო მოხდა ამ საკითხის ჩასმა პროგრამაში.

საბჭოს წევრი გიორგი თურქია დაინტერესდა, რომ თუ დაწესებულება ამბობდა, რომ პირველ საფეხურზე ისწავლებოდა პროექტების მართვა, ხოლო მეორეზე - პროექტების

მენეჯმენტი, რა განსხვავება იყო ამ ორ სათაურს შორის.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ჩიკაგოს უნივერსიტეტში საგანს ერქვა პროექტის დაგეგმვა და მართვა და დაწესებულებისთვისაც ასეთი სახით მოხდა შეთავაზება.

საბჭოს წევრმა, ნათელა სახოკიამ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, რომ ალბათ პრობლემა იმაში იყო, რომ გადმოგზავნა მოხდა დოკუმენტაციისა რაც რეალურად დახვეწილი იყო, თუმცა ჯანდაცვის პოლიტიკაში მაგისტრებისათვის, საგნის მოკლე აღწერა არ შეესაბამებოდა მის მიზნებს.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ იკითხა, საიდან იქნა აღებული საგნის სახელი “გლობალური ჯანდაცვა”.

ექსპერტმა განაცხადა, რომ აღნიშნული სათაური ზოგადად გამოიყენებოდა მსგავსი სახის პროგრამებში.

საბჭოს წევრმა, ირინე გოცირიძემ იკითხა, რადგან დაწესებულება ამბობდა, რომ მათი კურსდამთავრებულები მუშაობდნენ დაავადებათა კონტროლის ცენტრში, მათ დასჭირდებოდათ დიდ მონაცემებთან მუშაობაც. თუ ითვალისწინებდა პროგრამა ისეთ სასწავლო კურსს, სადაც სტუდენტები შეისწავლიდნენ მონაცემების დამუშავებას, შენახვას და ასევე შეისწავლიდნენ თუ არა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ დანერგილ ისეთ საერთაშორისო კლასიფიკაციის სისტემებს როგორც იყო ICD-10, SNOMED, HL-7

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ SPSS-ის პროგრამა წარმოადგენდა სწორედ იმ სახის პროგრამას, რომელიც საზოგადოებრივ ჯანდაცვაში ყველაზე მეტად გამოყენებადი.

ექსპერტმა დაამატა, რომ არსებობდა კოდები, რომლებიც ჩამოლილი იყო და სტუდენტები ეცნობოდნენ.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ განაცხადა, რომ რჩევა იყო, გადახედილი ყოფილიყო მარკეტინგის სილაბუსი მაგისტრატურაზე, რადგან ჰგავდა ბაკალვრის საფეხურზე არსებულ მარკეტინგის კურსს.

საბჭოს წევრმა, დიმიტრი ჯაფარიძემ განაცხადა, პირველ სემესტრში მოცემული იყო 5 სასწავლო კურსი, რომელთაგანაც 3 იყო სავალდებულო ხოლო 2 არჩევითი, რაც ფაქტობრივად გულისხმობდა, რომ ასარჩევი არაფერი იყო, რადგან არჩევითი გულისხმობდა სტუდენტისათვის სპექტრის შეთავაზებას, საიდანაც აიღებდნენ საგანს რაც სურდათ ისე, რომ გასულიყვნენ კრედიტების ოდენობაზე, თუ საგანი არ მოეწონებოდათ, არ აიღებდნენ, მაშინ კრედიტების ოდენობაზე გასვლა არ მოხდებოდა. აქ შეთავაზებული იყო 2 კურსი. ხომ არ აჯობებდა მომხდარიყო მეორე სემესტრიდან კურსების გადმოტანა, რადგან მეორე სემესტრში კურსების სიუხვე შეიმჩნეოდა.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ რადგანაც მაგისტრები დასაქმებულები იყვნენ ხშირად არათუ 5, არამედ 4 საგანსაც ვერ ირჩევდნენ დროის სიმცირის გამო. ამასთან, სტუდენტს შეეძლო გაეარა ნებისმიერი სასურველი საგანი რომელსაც, წინაპირობა არ ჰქონდა.

საბჭოს წევრმა, დიმიტრი ჯაფარიძემ განაცხადა, რომ მეორე სემესტრში ისწავლებოდა ფინანსური აღრიცხვა და მეორე სემესტრშივე იყო მოცემული მენეჯერული აღრიცხვაც. შეიძლებოდა თუ არა ეს ორი საგანი ერთმანეთის პარალელურად ესწავლებინა დაწესებულებას. ამგვარად, დარღვეული იყო სასწავლო კურსების მიმდევრობა, რაც სწავლის შედეგზე გასვლას ვერ უზრუნველყოფდა.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეთანხმებოდა საბჭოს წევრს, ეს ლოგიკას მოკლებული იყო და არ იცოდა როგორ აღმოჩნდა ეს ორი საგანი პარალელურად ერთ სემესტრში, რადგან რეალურად სწავლებაში მსგავსი პრაქტიკა არ არსებობდა.

საბჭოს წევრმა, დიმიტრი ჯაფარიძემ განაცხადა, რომ სწავლის მიზნებში მითითებული იყო ფართო ცოდნაზე ორიენტირებული თემები, რაც საბაკალავრო საფეხურს მეტად შეესაბამებოდა. მაგალითად პროექტის მართვაზე იგივე შედეგები იყო მოცემული, რაც საბაკალავრო საფეხურზე, რაც ნიშნავდა იმას, რომ მეორე საფეხურზე სტუდენტებს იგივე უნარები ეძლეოდათ, რაც პირველ საფეხურზე. ამგვარად, სასწავლო კურსის მიზნები შეუსაბამოა სასწავლო პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებთან.

ასევე საბაკალავროს მსგავსად პრობლემები იყო ლიტერატურაზეც, ამასთანავე აღნიშნულ საგანზე ლიტერატურა იდენტური იყო საბაკალავრო საფეხურის ლიტერატურასთან. რჩებოდა შთაბეჭდილება რომ არ ხდებოდა საფეხუროვანი გამიჯვნა. მისთვის გასაგები იყო რომ ხდებოდა კონტიგენტზე ორიენტირებულობა, თუმცა ეს არ ნიშნავდა რომ მაგისტრატურის საფეხურის სწავლის დონე უნდა მორგებოდა სტუდენტების წინარე ცოდნის დონეს. შესაბამისად, სილაბუსში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა არ შეესაბამებოდა სასწავლო კურსის სწავლის შედეგებს აღნიშნულ საფეხურზე.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მას არ შეეძლო ღრმა ინფორმაციის მიწოდება, თუმცა იცოდა რომ პროექტების მართვაში მითითებული იყო ერთ-ერთ სახელმძღვანელო - კეზნერის წიგნი და USAID-ის მიერ გამოცემული სახელმძღვანელო. ეს საგანი იყო არჩევითი მათთვის ვისაც ის დასჭირდებოდა ვინაიდან შესაძლო იყო არ ჰქონოდა გავლილი წინა საფეხურზე, თუმცა თუ სტუდენტი საგანს არ აირჩევდა ეს ხელს არ შეუშლიდა პროგრამას გასულიყო შედეგზე.

საბჭოს წევრმა, დიმიტრი ჯაფარიძემ განაცხადა, რომ იმ შემთხვევაშიც კი თუ სტუდენტი არ აირჩევდა აღნიშნულ კურსს, ეს არ ნიშნავდა, რომ კურსი უნდა ყოფილიყო პროგრამაში იმ შინაარსით და ფორმით, რითაც ის იყო წარმოდგენილი.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ თემატიკასთან დაკავშირებით, თუ კურსში ყველა თემა დაემთხვეოდა საბაკალავრო საფეხურის თემებს, მაშინ ეს დაუშვებელი იქნებოდა, მაგრამ ამასთანავე მისი აზრით, ლექტორს ჰქონდა უფლება რამოდენიმე თემა წინა საფეხურიდან შეეტანა კურსში თუ ის მიზნად ისახავდა სტუდენტისათვის გარკვეული საკითხების შეხსენებას.

საბჭოს წევრმა, გიორგი ქვარცხავამ განაცხადა, რომ აღნიშნული ბადებდა დამატებით კითხვას თუ სად გადიოდა ზღვარი “რამოდენიმე” თემის რაოდენობაზე. მას დაეთანხმა დიმიტრი ჯაფარიძე. თუ ლექტორი მაგალითისათვის ჩათვლიდა რომ საჭირო იყო კურსში პირველი საფეხურის თემატიკის 90 %-ის გამეორება, საბოლოო ჯამში კურსი ვეღარ გავიდოდა იმ შედეგზე რის ვალდებულებასაც საკვალიფიკაციო ჩარჩო აკისრებდა პროგრამას. არსებული ხარვეზების აღმოფხვრა კი შეიძლებოდა სტუდენტზე ცალკეული დავალებების მიცემით და არა საწყისი საფეხურის სასწავლო თემატიკის შეტანით მიმდინარე საფეხურის სასწავლო პროგრამაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა იკითხა, მაშინ სად გადიოდა აკადემიური თავისუფლების ზღვარი.

საბჭოს წევრმა, დიმიტრი ჯაფარიძემ მას ჰკითხა, როგორ უნდა სცოდნოდა ლექტორს წინასწარ რა საკითხების ცოდნაში ექნებოდა ხარვეზები და შესაბამისად, რა საკითხების გამეორება დასჭირდებოდა მომავალ კოჰორტას. მსგავსი ლოგიკა სასწავლო პროცესისა და პროგრამის პრიმიტივიზაციას გამოიწვევდა.

საბჭოს წევრმა, გიორგი ქვარცხავამ ჰკითხა დაწესებულების წარმომადგენელს, მისი აზრით აკადემიური თავისუფლება გულისხმობდა თუ არა მხოლოდ სილაბუსის წერას.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მას ეს არ უგულისხმია, თუმცა ამ პროცესის სრული დოგმატიზება მისაღები ვერ იქნებოდა. მსგავსი საკითხები, როგორც წესი გადიოდა პრერეკვიზიტად და დაწესებულების პრაქტიკაში ეს დამკვიდრებული იყო.

19:00 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.
სხდომა განახლდა 19:10 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს განუმარტა, რომ ცენტრში წარმოდგენილი დოკუმენტაციის, საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული მოსაზრებებისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ანალიზის საფუძველზე, საბჭომ მიიჩნია, რომ გარკვეულ შემთხვევებში სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა არ შეესაბამებოდა სასწავლო კურსის სწავლის შედეგებს, ასევე სასწავლო კურსის სწავლის შედეგები არ შეესაბამებოდა პროგრამის სწავლის შედეგებს, რაც გულისხმობდა აკრედიტაციის პირველი სტანდარტის 1.2 და 1.3 კომპონენტების შეფასებას, როგორც ნაწილობრივ შესაბამისი. ასევე ნაწილობრივ შესაბამისად უნდა შეფასებულიყო აკრედიტაციის მეორე სტანდარტის 2.3 კომპონენტიც, ვინაიდან პროგრამის სტრუქტურა არ იყო თანმიმდევრული და ლოგიკური. აღნიშნულიდან გამომდინარე, აკრედიტაციის დებულების თანახმად, აკრედიტაციის პირველი სტანდარტის შეფასება იქნებოდა ნაწილობრივ შესაბამისი, მეორე სტანდარტის - მეტწილად შესაბამისი.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს კავკასიის უნივერსიტეტის ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 1 წლის ვადით პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: -12

წინააღმდეგი: - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22- მუხლის მე-3² პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, შპს კავკასიის უნივერსიტეტის ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 1 წლის ვადით მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ, საბჭოს სხდომა დასრულდა 19:20 საათზე.

თავმჯდომარე

ირაკლი ბურდული

მდივანი

ნინო ჩანადირი

